

შპს „ბ და ბ“

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნავდარაანთკარში მდებარე
72.04.18.491 და 72.04.41.175 საკადასტრო ერთეულებზე
ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის
განაშენიანების დეტალური გეგმის და საკანალიზაციო წყლების
გამწმენდი ნაგებობის მოწყობის

გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის ანგარიში

თბილისი, 2023

სარჩევი

1	შესავალი	5
2	ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	6
3	ობიექტის ადგილმდებარეობა და პროექტის აღწერა	7
3.1	სამუშაოთა ორგანიზება.....	17
4	ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე	20
4.1	კლიმატი.....	20
4.2	საინჟინრო-გეოლოგიური პირობები	22
4.2.1	დასკვნების და რეკომენდაციები	28
4.3	ჰიდროლოგიური პირობები	29
4.3.1	მდ. თეზამის საშუალო წლიური ხარჯები.....	31
4.3.2	მდ. თეზამის წყლის მინიმალური ხარჯი.....	32
4.3.3	მდ. თეზამის წყლის მაქსიმალური ხარჯები	33
4.4	დაცული ტერიტორიები.....	35
5	გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები.....	39
5.1	მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა.....	39
5.2	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები და ხმაურის გავრცელება.....	40
5.3	ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება	41
5.4	ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება	42
5.5	ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება.....	43
5.6	ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება	47
5.7	ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება.....	49
5.8	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება	50
5.9	კუმულაციური ზემოქმედება	50
6	დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული გარემოზე შესაძლო ზემოქმედება	52
7	გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.....	54
8	დასკვნა	58
	დანართები	60
	დანართი 1. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნავდარაანთკარში არსებულ ტერიტორიაზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ	60
	დანართი 2. მცხეთის მუნიციპალიტეტს და დაინტერესებულ მხარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით	61
	დანართი 3. სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2022 წლის 26 ივლისის წერილი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შეთანხმებასთან დაკავშირებით.....	66
	დანართი 4. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცებასთან დაკავშირებით.....	68
	დანართი 5. შპს „საქართველოს მელიორაციის“ წერილი საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი სარწყავი არხის გასხვისების ზოლის დაცულობასთან დაკავშირებით.....	69

დანართი 6. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ობიექტების დემონტაჟთან დაკავშირებით	70
დანართი 6. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ხაზობრივი ნაგებობის მოწყობასთან დაკავშირებით ...	71
დანართი 7. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ნავდარაანთკარის ადმინისტრაციული ერთეულის თანხმობის წერილი ხაზობრივი ნაგებობის მოწყობასთან დაკავშირებით	72
დანართი 8. საკანალიზაციო გამწმენდის საპასპორტო მონაცემები.....	74
დანართი 9. წიაღის ეროვნული სააგენტოს ბრძანება და სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზია.....	90

ცხრილები

ცხრილი 1-1. ინფორმაცია საპროექტო და გარემოსდაცვითი ანგარიშის შემუშავებელი კომპანიების შესახებ	6
ცხრილი 4-1. გარე ჰაერის ტემპერატურა 0 C, თვის საშუალო	21
ცხრილი 4-2. ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა.....	21
ცხრილი 4-3. გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	21
ცხრილი 4-4. გარე ჰაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა, კპა	21
ცხრილი 4-5. ნალექების რაოდენობა	21
ცხრილი 4-6. თოვლის საფარი.....	21
ცხრილი 4-7. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები.....	21
ცხრილი 4-8. ქარის მახასიათებლები.....	22
ცხრილი 4-9. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ	22
ცხრილი 4-10. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები.....	26
ცხრილი 4-11. თიხოვანი გრუნტის (ფენა 1) ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები	27
ცხრილი 4-12. მდინარის აუზის ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლები	31
ცხრილი 4-13. მდ. თეზამის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო მორფომეტრიული ელემენტები	34
ცხრილი 5-1. ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ მცხეთაში	41
ცხრილი 5-2. ტერიტორიის გამწვანებისთვის გამოსაყენებელი მცენარეების დასახელება და რაოდენობა	44
ცხრილი 5-3. ინფორმაცია კონცეფციით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ.	47
ცხრილი 6-1. გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება.....	52
ცხრილი 0-1. “BIOTAL”-ის მუშაობის ეფექტურობის ქარხნული მონაცემები	76

რუკები

რუკა 4-1. რუკა. მდ. თეზამის აუზის ტოპოგრაფიული რუკა	30
რუკა 4-2. თბილისის ეროვნული პარკის და საპროექტო ტერიტორიების განლაგება	36
რუკა 4-3. ზურმუხტის ქსელის საიტი „საგურამო“	38

ილუსტრაციები

ილუსტრაცია 3-1. საპროექტო ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა.....	7
--	---

ილუსტრაცია 3-2. საპროექტო ტერიტორია გამწმენდი ნაგებობისთვის შერჩეული ტერიტორიის ჩვენებით.....	9
ილუსტრაცია 3-3. საპროექტო ტერიტორიის აეროფოტო	10
ილუსტრაცია 3-4. საპროექტო ტერიტორიის ვიზუალიზაცია	14

ნახაზები

ნახაზი 4-1 ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები	24
ნახაზი 4-2. ჭაბურღილების ჭრილები.....	25

სქემები

სქემა 3-1. საპროექტო ტერიტორიის რელიეფის ჭრილი	8
სქემა 3-2. გეგმარებითი ერთეულის ფუნქციური ზონირება და გამოყენების სახეობები.....	12
სქემა 3-3. მიწის ნაკვეთებზე შენობათა გამიჯვნის გეგმა	13
სქემა 5-1. საპროექტო სატრანსპორტო სქემა	40
სქემა 0-1. დანადგარი “BIOTAL”-ის ტექნოლოგიით მომუშავე დანადგარების პრინციპული ტექნოლოგიური სქემა.....	75

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნავდარაანთკარში მდებარე 72.04.18.491 და 72.04.41.175 საკადასტრო ერთეულებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

დაგეგმილი საქმიანობის პირველ ეტაპზე, 2022 წლის 18 აპრილს, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, საპროექტო ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის დაგეგმარების მიზნით, განხორციელდა ზოგადი პროექტის ინიცირება (საქმის ნომერი: 3422108238-03). აღნიშნული საკითხი განიხილა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წლის 31 მაისს და მიეცა თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას სოფელ ნავდარაანთკარში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ([იხილეთ დანართი 1](#)). ამის საფუძველზე 08/06/2022 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ტერიტორიის განვითარების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და დაინტერესებულ პირს შორის ([იხილეთ დანართი 2](#)).

მეორე ეტაპზე განხორციელდა პროექტის დეტალური კონცეფციის შემუშავება და 2022 წლის 10 ივნისს შევიდა განაცხადი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, რომლითაც წარდგენილი იქნა სოფელ ნავდარაანთკარში მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.04.41.175 და 72.04.18.491) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების გეგმის კონცეფცია.

მოცემული კონცეფცია აგრეთვე განიხილა სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს “ტერიტორიების (გარდა სარეკრეაციო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებისა) გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“-მ და 2022 წლის 26 ივლისის წერილით მიეცა თანხმობა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შეთანხმებას ([იხილეთ დანართი 3](#)).

აღნიშნულის გათვალისწინებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 სექტემბრის #311 განკარგულებით, დამტკიცდა სოფელ ნავდარაანთკარში მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.04.41.175 და 72.04.18.491) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ([იხილეთ დანართი 4](#)).

განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის და საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 1.1 ქვეპუნქტის „10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება“, 9.2 ქვეპუნქტის „10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)“ და 10.6 ქვეპუნქტის „ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია“ თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნულის შესაბამისად მომზადდა გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის და საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის გზმ-ს სკრინინგის ანგარიში.

ცხრილი 1-1. ინფორმაცია საპროექტო და გარემოსდაცვითი ანგარიშის შემმუშავებელი კომპანიების შესახებ

საპროექტო კომპანია	შპს „ბ და ბ“
კომპანიის მისამართი	საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, რ.ჩხეიძის ქ., N 9
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	მცეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნავდარაანთკარი
წარმომადგენელი პირი	დავით ბერიშვილი
წარმომადგენელი პირის ელექტრონული ფოსტა	gio.berishvili@gmail.com
წარმომადგენელი პირის ტელეფონი	599 77 77 72

2 ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 1.1 ქვეპუნქტის „10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება“, 9.2 ქვეპუნქტის „10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)“ და 10.6 ქვეპუნქტის „ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია“ თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს გზშ-ს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, რაზედაც მომზადებულია წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

საქმიანობის სკრინინგი- საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და მისგან მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს:

- მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს ამ განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სააგენტოს მოსაზრებები და შენიშვნები ამ განცხადებასთან დაკავშირებით. სააგენტო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.


სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. თუ სააგენტო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები. სკრინინგის

პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს დასაბუთებულ სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

3 ობიექტის ადგილმდებარეობა და პროექტის აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნავდარაანთკარში, რომლის ჯამური ფართობია 139,159 კვ.მ. ტერიტორია წარმოადგენს ორი სოფლის საზღვარს - იგი მდებარეობს სოფელ ნავდარაანთკარის უკიდურეს აღმოსავლეთით და ესაზღვრება სოფელ კოტორაანთკარს. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი 55 მ. მანძილში მდებარეობს (ტერიტორიის აღმოსავლეთ მხარეს, სოფელ კოტორაანთკარში). ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამიას დამაკავშირებელი მაგისტრალური გზა და გზის გადაღმა მდებარეობს მდ. თეზამი.

ილუსტრაცია 3-1. საპროექტო ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა



საპროექტო ტერიტორიის კოორდინატებია:

- | | |
|-----------------------------------|-----------------------------------|
| 1. X: 486197.56; Y: 4638489.39; | 2. 486409.55; Y: 4638551.32; |
| 3. X: 486370.51; Y: 4638711.38; | 4. X: 486598.49; Y: 4638639.73; |
| 5. X: 486617.23 ; Y: 4638611.88; | 6. X: 486621.76 ; Y: 4638599.94; |
| 7. X: 486651.25; Y: 4638608.59; | 8. X: 486678.82 ; Y: 4638571.48; |
| 9. X: 486675.62; Y: 4638533.39; | 10. X:486652.50 ; Y: 4638470.97; |
| 11. X: 486639.28; Y: 4638342.55; | 12. X: 486644.62 ; Y: 4638293.31; |
| 13. X: 486631.34 ; Y: 4638266.42; | 14. X: 486627.40 ; Y: 4638254.35; |
| 15. X: 486460.12; Y: 4638272.77; | 16. X: 486339.23; Y: 4638262.13; |


17. X: 486316.89 ; Y: 4638321.91;
 19. X: 486262.82; Y: 4638319.14;
 21. X: 486250.32 ; Y: 4638379.19;
 23. X: 486231.97; Y: 4638453.01;

18. X: 486290.15 ; Y: 4638322.71;
 20. X: 486262.76; Y: 4638338.63;
 22. X: 486250.42; Y: 4638403.55;

საპროექტო ტერიტორია ქანობიანია და მისი საშუალო ქანობი 10%-ს წარმოადგენს (ყველაზე დაბალი წერტილი 785,00 მ, ყველაზე მაღალი წერტილი 833,00 მ).

საპროექტო ტერიტორიაზე გაედინება შპს „საქართველოს მელიორაციის“ კუთვნილებაში არსებული სარწყავი არხი (ბურიანის არხი), რომლის საერთო სიგრძე 3,013 მ-ს შეადგენს და საპროექტო ტერიტორიას ორ ნაწილად ყოფს. სარწყავი არხის გასხვისების ზოლის დაცულობასთან და სამელიორაციო სისტემის გამართული ტექნიკური ექსპლუატაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ მომზადებულია შესაბამისი წერილი ([იხილეთ დანართი 5](#)). გდგ-ს განხორციელება განხორციელდება მოთხოვნილი პირობების დაცვით.

სქემა 3-1. საპროექტო ტერიტორიის რელიეფის ჭრილი



აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო მესაქონლეობის ფერმა. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერული საქმიანობა ხორციელდებოდა კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ნაკვეთის მომიჯნავედ მცხოვრებ მოსახლეობას ექმნებოდა გარკვეული სახის დისკომფორტი.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იმატა ტერიტორიის გარშემო ახალმა მოსახლეობამ და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს ახალი სახლების მშენებლობა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება შეწყვეტილიყო ფერმერული საქმიანობა და მიწის ნაკვეთი განვითარებულიყო საცხოვრებელი დანიშნულებით (შპს „ბ და ბ“-ს მინდობილი პირის გიორგი ბერიშვილის განცხადებისა და შესაბამისი პროექტის საფუძველზე, გაიცა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ფერმის ინფრასტრუქტურული ობიექტების დემონტაჟთან დაკავშირებით ([იხილეთ დანართი 5](#)).

არსებულ ტერიტორიაზე დაგეგმილია საცხოვრებელი უბნის მოწყობა სადაც ჯამურად დაახლოებით 400-მდე ადამიანი იცხოვრებს. ტერიტორიის ნაკვეთებად დაყოფის შემდეგ ყველა ნაკვეთთან მოეწყობა ყველა საჭირო კომუნიკაცია და შიდა გზები. ტერიტორიაზე იქნება შიდა რეკრეაციული, სპორტული და დასასვენებელი ზონები. საცხოვრებელი უბნისთვის ასევე დაგეგმილია ცენტრალური საკანალიზაციო სისტემისა და შესაბამისი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა (2 ერთეული 50 მ³ მოცულობის გამწმენდი ნაგებობა), რომლებიც საპროექტო ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში განთავსდება).

ტერიტორიის გეგმარებისა და განაშენიანებისთვის გამოყენებული იქნება საერთაშორისო და ქვეყანაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა. საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია სრული კომუნიკაციების ქსელის მოწყობა

ილუსტრაცია 3-2. საპროექტო ტერიტორია გამწმენდი ნაგებობისთვის შერჩეული ტერიტორიის ჩვენებით



საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ არაა დამტკიცებული არცერთი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის (მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, განაშენიანების დეტალური გეგმა) დოკუმენტი. საპროექტო ტერიტორიისთვის შემუშავებული განაშენიანების დეტალური გეგმა პირველი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტი იქნება, შესაბამისი ფუნქციური ზონირებით.

ილუსტრაცია 3-3. საპროექტო ტერიტორიის აეროფოტო



შენიშვნა: აეროფოტოებზე მოცემული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ყოფილი ფერმის ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, რომელთა დემონტაჟი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების და დამუშავებული პროექტის შესაბამისად განხორციელდა (კონტრაქტორი კომპანიის მიერ).

ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელის პრინციპით რომელთა ტექნიკური მაჩვენებლები შემდეგნაირია:



- 91 საცხოვრებელი მიწის ნაკვეთი -101 148 კვ.მ (72,7%);
- რეკრეაციული მიწის ნაკვეთი -15 584კვ.მ (11,2%);
- 1 სატრანსპორტო ფუნქციის ნაკვეთი -21 068 კვ.მ (15,1%);
- 1 საინჟინრო ინფრასტრუქტურის ნაკვეთი -532 კვ.მ (0,4%);
- 1 კომერციული ინფრასტრუქტურის ნაკვეთი -827 კვ.მ (0,6%).

გზას ორივე მხარეს მიყვება მწვანე დერეფანი, რომლის სიგანე არის 8-8 მეტრი ამ ზონაში დაუშვებელია ნებისმიერი სახის მშენებლობა გარდა საკომუნიკაციო მიწისქვეშა ნაგებობებისა და ტროტუარისა. მიწის ნაკვეთები დაყოფილია საშუალოდ 47X21 მეტრის მიწის ნაკვეთების კონფიგურაციით, რომელთაგან სწორედ წინა 5.5 მეტრიანი ნაწილი წარმოადგენს საჯარო სივრცეს. ტერიტორიაზე დაგეგმილია ერთი დიდი რეკრეაციული სივრცის მოწყობა, სადაც განთავსდება როგორც სპორტული ზონა ასევე, წყნარი დასვენების ზონა. ასევე ტერიტორიაზე არსებული არხის ორივე მხარეს წარმოდგენილია 4-4 მეტრიანი რეკრეაციული ზონით დატვირთული დამცავი არეალით (საქართველოს მელიორაციის კომპანიის რეკომენდაციის შესაბამისად), რომელიც მიყვება მთელს სივრცეზე (იხილეთ სქემა 3-2). კონცეფციით დაგეგმილია, რომ რეკრეაციულ სივრცესთან მიწვდომადობა იყოს

ყველა ნაკვეთიდან, შესაბამისად ტერიტორიაზე რეკრეაციულ სივრცესთან შექმნილია მაქსიმალური კავშირები.

საპროექტო ესკიზით დაგეგმილია 6 მეტრიანი სიგანის სამანქანო გზა, 1 მეტრიანი გამწვანებული ზოლი და 1,5 მეტრიანი ტროტუარი.

სქემა 3-2. გეგმარებითი ერთეულის ფუნქციური ზონირება და გამოყენების სახეობები



საბარაქო-სასოფრობედი ზონა (კ1-0.5 კ2-0.8 კ3-0.3 მაქსიმალური სიმაღლე 12მ)
 ნაკრძალთან სასოფრობედი ზონის ვაზონას, სადაც მოიწოდებს ნაწილობრივ დასასვენებელი ინფრასტრუქტურის სასოფრობედი სახეობი.

1. ნებადართული სახეობები:
 ა) ინდივიდუალური სასოფრობედი სასლი (მოიწოდებული სახეობა);
 ბ) საბარაქაოსი სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 გ) ინდივიდუალური საშაურეო და ტაქსიური დახმავა ნაგებობა;
 დ) ღია სასოფრო მოხიბვა.

საბარაქაოსი-საბარაქაოსი ზონა (კ1-0.2 კ2- კ3-0.8 მაქსიმალური სიმაღლე 12მ)
 ნაკრძალთან შერეული ზონის ვაზონას, რომელიც შესაძლებელია დასასვენებელი ანდა საბარაქო და ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების უზრუნველყვის უზრუნველყვის.

1. ნებადართული სახეობები:
 ა) საბარაქაოსი სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 ბ) სასოფრო და კვების მოხიბვა;
 გ) სასოფროში ტენიანობა;
 დ) კულტურის, სოციალური ჯანდაცვის და სასოფრო მოხიბვა;
 ე) სასოფრო ვაჭრობის მოხიბვა.

სასოფლო-სამოსახლო ზონა (ზ-1; კ1-0.5 კ2-0.8 კ3-0.3; მაქსიმალური სიმაღლე 12მ)
 მაქსიმალური სართული 3 სართული) რომლის ქირითადაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო ფუნქციონირების განხორციელება, სასოფლო-სამოსახლო ზონაში დასასვენებელი სასოფრობედი სახეობი, ბარაქაო, ვაზონისთვის შესაბამისი სტრუქტურული და საშენობელი მოხიბვა, რომლის ნაკრძალზე არ უნდა ნაგებდეს შენობა-ნაგებობა.

1. ნებადართული სახეობები:
 ა) ინდივიდუალური სასოფრობედი სასლი;
 ბ) სასოფრო და კვების მოხიბვა;
 გ) რელიგიური სასოფრო, კულტურის, სოციალური ჯანდაცვის და სასოფრო მოხიბვა;
 დ) სერვისები და სასოფლო აღზრდის ტენიანობა;
 ე) აღმშენებლობის მოხიბვა;
 ვ) მოწოდება;
 ზ) ავტოსტრასტოგრაფიული საშაურის მომსახურების მოხიბვა.

სატრანსპორტო ტერიტორია
 საავტომობილო ტრასტორტის ტერიტორია და გასთან დაკავშირებული ფუნქციონირება.
 სანიმინრო ინფრასტრუქტურა
 მანქანების ტერიტორია სანიმინრო ინფრასტრუქტურის ქსელი.
 სანიმინრო ინფრასტრუქტურის ტერიტორია და გასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობები.

გამწვანებელი ტერიტორია
 გამწვანებელი ტერიტორია არის ნაშენ ბარაქაოსი არსებული გამწვანების მოხიბვა (გაბალირება, ბულბარები, ბაღი, საუბო, ბაზონი, რომელიც ფართობს არაუმეტეს 70%-ზე დასაქმდა დასასვენებელი სასოფრობედი ფუნქციონირების უზრუნველყვისთვის დასასვენებელი ტერიტორია ინფრასტრუქტურის, სასოფლო, საშენობელი სასოფლო დასასვენებელი ნაგებობა, საბარაქო ადგილები.


პროექტის სახელწოდება
 ახლოს რაიონი, სოფელ ნავარაქაოსისთან მდებარე სასოფრობედი ზონის ტერიტორიის სასოფრობედი ფუნქციონირების განხორციელების ტექნიკური გეგმა
 ფუნქციური ზონირება და გამოყენების სახეობების განსაზღვრის გეგმა

პროექტის სახელწოდება

- სასოფრობედი ზონა
- შერეული ზონა 1
- შერეული ზონა 4
- სატრანსპორტო ტერიტორია
- გამწვანებელი ტერიტორია
- სანიმინრო ინფრასტრუქტურა

საპროექტო	ფრაგმენტი	ფრაგმენტი	დაარსების	განაკვეთი	საქმის
განაკვეთის დასაშვანი ნაგებობა		23			
სს "ბ ლ ბ" LTD "B&B"					
სს "უკაინკა" LTD "URBAN-CA"					
დაარსების	განაკვეთი	საქმის	დაარსების	განაკვეთი	საქმის
მ. კახიანი	ნ. გვარამია	ს. გვარამია	მ. კახიანი	ნ. გვარამია	ს. გვარამია
დაარსების	განაკვეთი	საქმის	დაარსების	განაკვეთი	საქმის
1:5000			17-Nov-22		A-3

სქემა 3-3. მიწის ნაკვეთებზე შენობათა გამოყენების გეგმა



მიწის ნაკვეთები დაყოფილი 3 ზონად:


A ზონა – დაუშვებელია ყოველგვარი შენობა-ნაგებობა და სხვადასხვა ობიექტების განთავსება, მათ შორის ტობა, მყივე არქიტექტურული ფორმები და სხვა. დასაშვებია ზამთარში, მიწისქვეშა პარკინგის, მოწოდებისა და საფრთხეების დასაშვებია პარკინგის მოწყობა ტექნიკური სიზანით 6 მეტრი და საფრთხეული ბილინი მასშტაბური სიზანით 2 მეტრი.

B ზონა – საშენობლო არაღია, დაშვებულია ყველა დაშვებული სახეობები, შენობის განთავსება შესაძლებელია მიწის ნაკვეთის საფრთხეული საზღვრიდან 3 მეტრის დაშორებით.

დასაშვებია შენობის განთავსება საფრთხეული მიწისქვეშა იმ შემთხვევაში, თუ ორივე მიწის ნაკვეთზე ერთდროულად ხდება კონსტრუქციის შეთანხმება და ხდება გეოლოგიკურად სსსლმის განთავსება საზიარო კედლით. მიწის ზონის რეგულირება ხდება საპარტეზლოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261-ე დადგენილებით.

C ზონა – რეკონსტრუქციის სიზანით და მიწის ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობისა და ნაგებობის განთავსების არაღია. მათ: აგნობრივი, აუზი, მყივე არქიტექტურული ფორმები და ა.შ.

მიწის ნაკვეთის დაყოფა-გაერთიანება დაშვებულია მხრის მიხედვით. მიწის ნაკვეთის გაერთიანების შემთხვევაში სავსტომ საადასტრო საზღვართან საფრთხეული მიწის ზონები უშვებია – ერთიანობა საადასტრო საზღვრები და საშენობლო ზონები. არსებული დაყოფის შემთხვევაში მიწის ზონებზე ვრცელდება საპარტეზლოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261-ე დადგენილებით – მხელი 41. მიწის ზონა.



პროექტის სახელწოდება
 ახალი რაიონი სოფელ დაბადასისკაში
 მიწის ნაკვეთი № 72.04.18.491 და 72.04.41.175
 საპარტეზლო მიწის ნაკვეთებზე
 ინჟინერული დაპროექტირების გეგმის
 განხორციელების დამატებითი გეგმა
 მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების
 გეგმა

მიწის ნაკვეთის ნაწილის არაღია	A ზონა	არხის შევსება
საპარტეზლო მიწის ნაკვეთი	B ზონა	სერვიტუტი
საპარტეზლო მიწის ნაკვეთის ნაწილი	C ზონა	

საპროექტო ფურცელი 29

შპს "ბ.ბ.ბ." LTD "B&B"

შპს "ურბანეკა" LTD "URBANICA"

მასშტაბი	1:2000	1:500	1:305.11
თარიღი	17-Nov-22		

ილუსტრაცია 3-4. საპროექტო ტერიტორიის ვიზუალიზაცია



პროექტის სახელწოდება

მდინარე კარგილი სოფელ ნაგაბანის რაიონში
 მდებარე №72, 24, 18, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45
 საკადასტრო ტერიტორიის
 ილირეთის რაიონის სასაქონლო კრედიტის
 განაშენიანების დეტალური გეგმა

ვიზუალიზაცია

სტატუსი: ფრანკული ფრანკული

განაშენიანების ფართობი: 45

ფესვლიკა



შპს "უ ბ ა"
 LTD "URBANICA"

შპს "ურბანიკა"
 LTD "URBANICA"

ინჟინერის სახელი	პოსტი	ინჟინერის ხელმოწერა
თინათინა	პ. შალვალი	<i>[Handwritten Signature]</i>
კ. კახიანი	მ. შალვალი	<i>[Handwritten Signature]</i>
ინჟინერის სახელი	პ. შალვალი	<i>[Handwritten Signature]</i>
შეამოწმა	ფრანკული	A-3
თარიღი	17.09.22	



პროექტის სახელწოდება

მხედრის რაიონში, სოფელ დავაგანთაძის რაიონში, მუხრანის ქ. 19, 491, ფა. 7202441175 საკადასტრო კვიტულაზე ინდივიდუალური სასაშენო-სამშენობლო სამუშაოს განხორციელების ტენდერის მიზნით

მიზნულთა სია

საბუნო	ფუძემდებ	ფუძემდებ
განაშენების ტენდერის მიზნით		46

ქვესაბუნთა სია



სპს "გ.ღ.ა.წ." LID "გ.გ.გ."
სპს "ურბანიკა" LID "URBANICA"

თანამდებობა	ბავარი	ხელმოწერა
ინიციალი	მ. მურაველი	<i>[Signature]</i>
პრ. ადგილი	მ. მურაველი	<i>[Signature]</i>
თანამდებობა	მ. ბერიძე	<i>[Signature]</i>
მკვეთი	17 ივნ 22	ფურცელი A-3
თარიღი		



პროექტის სახელწოდება

ახალი რაიონი, სოფელ ნავაჩანისა და მდინარე მურვიანის ხეობის ტერიტორიაზე, სასაზღვრო გზის სანაპირო ნაწილში, სასაზღვრო გზის სანაპირო ნაწილში, სასაზღვრო გზის სანაპირო ნაწილში, სასაზღვრო გზის სანაპირო ნაწილში.

მისაღობის სახელი

სახელი	ფაქტობრივი	ფაქტობრივი
სასაზღვრო გზის სანაპირო ნაწილი		17

მისაღობის სახელი



სს "ბ.დ.ა.გ." LTD "ბ.დ.ა.გ."
 სს "ურბანიკა" LTD "URBANICA"

მისაღობის სახელი	ბაზარი	ხაზობრივი
მისაღობის სახელი	მ. მისაღობის	
მისაღობის სახელი	მ. მისაღობის	
მისაღობის სახელი	მ. მისაღობის	
მისაღობის სახელი	17-1103-22	ფორმატი A-3

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკანალიზაციო წყლების შეკრებისა და გაწმენდისთვის დაგეგმილია 2 ერთეული 50 მ³ მოცულობის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. გამწმენდი ნაგებობა მოეწყობა საცხოვრებელი უბნის განაშენიანებისთვის შერჩეული ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან. გამწმენდიდან გაწმენდილი წყალი დაახლოებით 300 მ. სიგრძის მილით ჩაეშვება მდინარე თეზამში (ჩაშვების კოორდინატებია: X:486642.90 ; Y:4638728.14;). თავდაპირველად მილი გამწმენდიდან ჩრდილოეთ მიმართულებით იქნება მიმართული (დაახლოებით 20 მ.), რომელიც საავტომობილო გზის გადაკვეთის შემდეგ, აღმოსავლეთ მიმართულებით, პარალელურად (დაახლოებით 210 მ. სიგრძეზე) გაუყვება არსებულ გზას და შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით, დაახლოებით 70 მ. მანძილში დაბოლოვდება ჩაშვების წერტილით. მილი ნაწილობრივ გაივლის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ N72.04.18.894), რაზედაც შესაბამისი უწყებებიდან გაცემულია თანხმობის წერილები (იხილეთ [დანართი 6](#) და [დანართი 7](#)).

გაწმენდილი წყალი შესაბამისობაში იქნება საქართველოში არსებულ სტანდარტებთან. ჩამდინარე წყლის დამუშავების ტექნოლოგია და ინფორმაცია გამწმენდის ეფექტურობის შესახებ მოცემულია [დანართში 8](#).

3.1 სამუშაოთა ორგანიზება

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მოწყობის სამუშაოების ორგანიზება

საპროექტო გდგ-ს განხორციელება შესაძლებელია 2 ეტაპის სამუშაოებად დაიყოს.

პირველი ეტაპის სამუშაოები ითვალისწინებს:

- საკანალიზაციო სისტემის მოწყობას;
- შიდა მისასვლელი გზების მოწყობას;
- გამწვანებული სივრცის მოწყობას;

კომპლექსის მოწყობის შემდეგ წყალმომარაგება განხორციელდება ტერიტორიაზე დაგეგმილი ჭაბურღილების მეშვეობით. ჭაბურღილებიდან წყალი დაგროვდება რეზერვუარებში და შემდეგ განაწილდება მომხმარებლებზე. საპროექტო ტერიტორიაზე ამჟამად არსებობს ერთი ჭაბურღილი, რომლიდანაც წყლის მოპოვებაზე გაცემულია შესაბამისი ლიცენზია ([იხილეთ დანართი 9](#))

კანალიზაციის ქსელის შეთანხმებული პროექტის მიხედვით განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის საკანალიზაციო სისტემით დაქსელვა და გამწმენდ ნაგებობასთან დაკავშირება. ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის მოწყობა (გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები აღწერილია ქვემოთ), საიდანაც გაწმენდილი წყლის ჩაშვება განხორციელდება მდინარე თეზამში.

საკანალიზაციო სისტემის მოწყობა ძირითადად მიწის სამუშაოებთან იქნება დაკავშირებული. პროექტის შესაბამისად გაკეთდება სხვადასხვა პარამეტრის თხრილები. თხრილებიდან ამოღებული ნიადაგი და გრუნტი განთავსდება თხრილების მახლობლად, რომელიც შემდეგ გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციისთვის.

საკანალიზაციო ქსელისთვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა დიამეტრის პლასტიკის მილები, რომლებიც თხრილებში განთავსებამდე საპროექტო ტერიტორიაზე დასაწყობდება დროებით. მასალის ტრანსპორტირება განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის სატვირთო სატრანსპორტო საშუალებით.

საკანალიზაციო ქსელის მოწყობის შემდეგ დაიწყება შიდა საუბნო მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოები. საწყის ეტაპზე მომზადდება მიწის ვაკისი (შეთანხმებული გზის მოწყობის პროექტის მიხედვით მოიხსნება ნიადაგის და გრუნტის ფენა და შემდეგ დაიყრება სხვადასხვა ფრაქციის ინერტული მასალა), რომელზეც დაიგება 6 მ სიგანის ასფალტის/ბეტონის საფარი. გზის გასწვრივ მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, 1 მეტრიანი გამწვანებული ზოლი და 1.5 მ. სიგანის ტროტუარი. სანიაღვრე სისტემა დაერთებული იქნება ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე შემკრებ რეზერვუარს, საიდანაც შეგროვებული წყლის ჩაშვება განხორციელდება მდინარე თეზამში.

გზების მოწყობისთვის საჭირო მასალები: ქვა-ღორღი, ხრეში, ასფალტი/ბეტონი საჭიროებრისამებრ შემოტანილი იქნება ტერიტორიაზე სამუშაოების განხორციელების პარალელურად. მასალების ტრანსპორტირება ასევე კონტრაქტორი კომპანიის მიერ განხორციელდება.

გამწვანებული სივრცის¹ მოწყობა დაიწყება კანალიზაციის ქსელისა და შიდა საუბნო გზების მოწყობის შემდეგ. საწყის ეტაპზე ჩატარდება მიწის სამუშაოები, მოეწყობა სკვერისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურა და ტერიტორიას ჩაუტარდება სარეკულტივაციო სამუშაოები, რის შემდეგაც ტერიტორიაზე დაირგვება ხე-მცენარეები. აღნიშნული მიზნით მზადდება დენდროლოგიური პროექტი. სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის გამოყენებული იქნება საპროექტო ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგის ფენა.

პირველი ეტაპის სამუშაოების განხორციელებისას ტერიტორიაზე მოეწყობა დროებითი ინფრასტრუქტურა დაცვის თანამშრომლებისა და სამუშაოებში დასაქმებული პერსონალისთვის. დროებითი ინფრასტრუქტურა იქნება სენდვიჩ-პანელებით აწყობილი კონსტრუქცია. ტერიტორიაზე განთავსდება ბიო ტუალეტის და საშხაპის მობილური კაბინები.

პირველი ეტაპის სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა 5 თვეს შეადგენს. სამუშაოებში ჯამურად დასაქმებული იქნება დაახლოებით 50 ადამიანი.

გამოყენებული ძირითადი ტექნიკის სავარაუდო ჩამონათვალი შემდეგია:

- 2 ერთეული ადგილზე მობრუნების მუხლუხა ექსკავატორ-ჩამტვირთველი;
- 4 ერთეული ექსკავატორ-ჩამტვირთველი ტრაქტორი;
- 6 ერთეული სატვირთო;
- 2 ერთეული გრუნტის სატკეპნი;
- 2 ერთეული სატვირთველი;
- 1 ერთეული ასფალტის ან ბეტონის დამგები.

¹ გამწვანებული სივრცის მოწყობის სამუშაოების შესაძლოა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პარალელურადაც განხორციელდეს.

პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყება მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელება, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობის სამუშაოებს. ინდივიდუალური საცხოვრებლების მშენებლობა მოხდება უშუალოდ მესაკუთრეების მიერ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის ნებართვების საფუძველზე.

საცხოვრებლებისა და კომერციული ობიექტების მშენებლობა მოიცავს მიწის სამუშაოებს (სადირკველის მომზადებას), ბეტონის სამუშაოებს (სადირკველის ჩასხმა და კარკასის მომზადება), მოსაპირკეთებელ სამუშაოებს (გარე ფასადისა და ინტერიერის მოწყობა).

როგორც წესი გდგ-ს კონცეფციაში მოცემული საცხოვრისების მასშტაბის მშენებლობას საშუალოდ 6 ადამიანი ესაჭიროება, შესაბამისად თითოეულ საცხოვრისის სამშენებლო სამუშაოებზე გათვლილია მინიმუმ 6 ადამიანი. გდგ ითვალისწინებს 91 საცხოვრებელი სახლისა და 3 საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობას, რაც 564 დასაქმებულ ადამიანს გულისხმობს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყველა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა პარალელურად არ წარიმართება. საპროექტო ნაკვეთების განვითარება მოხდება ეტაპობრივად. გდგ-ს დამტკიცებიდან 5 წლის ვადაში საპროექტო ტერიტორიაზე 1 საცხოვრებლის პროექტის შეთანხმების და აშენების შემთხვევაში გდგ ხდება უვადო. დამტკიცებულ გდგ-ში მოცემული საცხოვრებლები აშენდება ინდივიდუალურად (მომავალი მესაკუთრეების მიერ), რისთვისაც კონკრეტული სამშენებლო ვადების და დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრა რთულია. სავარაუდოა, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას 2-დან 5 წლამდე დასჭირდება.

ინდივიდუალური საცხოვრებლების და საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო მასალების (ბეტონი, ცემენტი, ქვიშა-ხრეში, სამშენებლო ბლოკი, მოსაპირკეთებელი მასალები, ლითონის ნაკეთობები და სხვა) ტრანსპორტირება და ტერიტორიაზე დასაწყობება ინდივიდუალურად მოხდება. დასაწყობებისთვის გამოყენებული იქნება საკუთრებაში არსებული ტერიტორია (გდგ-ს დამტკიცების შემდეგ საპროექტო არეალი დაიყოფა სხვადასხვა საკადასტრო ერთეულებად) მშენებლობისათვის საჭირო ბეტონი სპეციალური ბეტონშემრევით იქნება შემოტანილი ტერიტორიაზე, ან გამოყენებული იქნება სტაციონალური მცირე ზომის ბეტონშემრევი.

სამუშაოების პირველ ეტაპზე საჭირო წყლის რესურსების (სამშენებლო, სასმელ-სამეურნეო) მობილიზება მოხდება წყლის შესაბამისი ტექნიკითა და რეზერვუარებით, რომლებიც ობიექტზე შემოტანილი იქნება სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი პირის/კომპანიის მიერ. მეორე ეტაპისთვის გეგმარებითი ობიექტი უზრუნველყოფილი იქნება შიდა წყალმომარაგების სიტემაზე დაერთებული წყლით.

გამწმენდის მოწყობის სამუშაოთა ორგანიზება

გამწმენდის მოწყობა მოიცავს შემდეგი ტიპის სამუშაოებს:

- მიწის სამუშაოები (ნაყოფიერი ფენის და გრუნტის მოჭრა),
- ბეტონის სამუშაოები (გამწმენდი დანადგარისათვის ფუნდამენტის და რეზერვუარის მოწყობა),
- უშუალოდ გამწმენდი დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები.

თავდაპირველად გამწმენდის განთავსებისთვის საჭირო ტერიტორიიდან მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რის შემდეგაც განხორციელდება გრუნტის მოხსნის სამუშაოები. გრუნტის სასურველ სიღრმემდე ამოღების შემდეგ განხორციელდება ბეტონის სამუშაოები. გამწმენდი დანადგარი საჭიროებს შესაბამის ფუნდამენტს და რეზერვუარს, რომლებიც მომზადებული იქნება ბეტონისგან.

ბეტონის სამუშაოების დასრულების შემდეგ მომზადებულ ტერიტორიაზე დამონტაჟდება 2 ერთეული 50 მ³ მოცულობის გამწმენდი ნაგებობა.

გამწმენდის მოსაწყობად გამოყენებული იქნება ინერტული მასალა (ქვა-ღორღი), სილა, ცემენტი, არმატურა. მათი შემოტანა ტერიტორიაზე მოხდება სამუშაოების განხორციელების ეტაპების შესაბამისად.

გამწმენდის მოწყობის სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება 1 ტრაქტორი, 1 სატვირთო მანქანა (თვითმცლელი) 1 ტვირთამწე და 1 ბეტონის შემრევი². მოწყობის სამუშაოები განხორციელდება საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მოწყობის პირველ ეტაპზე დასაქმებული პერსონალი - დაახლოებით 5 ადამიანი.

სამუშაოების წარმოების პერიოდში გამოყენებული იქნება იგივე დროებითი ინფრასტრუქტურა, რომელიც განკუთვნილია საპროექტო საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პირველი ეტაპის სამუშაოების მოსაწყობად საჭირო სამუშაოებისთვის.

გამწმენდიდან გამავალი მილის მოწყობის სამუშაოები შესაძლოა განხორციელდეს გამწმენდის მოწყობის პარალელურად, ან გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემდეგ. მილის გასაყვანად ძირითადად მიწის სამუშაოები იქნება ჩასატარებელი. თავდაპირველად გაკეთდება ტრანშეა, რომელშიც ჩაიდება მილი. ტრანშეიდან ამოღებული ნიადაგის და გრუნტის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისად. ტრანშეაში მილების განთავსების შემდეგ გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრილის სახით, ხოლო ნიადაგი ზედაპირის რეკულტივაციისთვის.

გამწმენდის მოსაწყობად საჭირო იქნება დაახლოებით 3 თვე.

4 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე

4.1 კლიმატი

საპროექტო ტერიტორიის კლიმატური პირობების დახასიათებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება (№1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო, ქ. თბილისი) დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – დამტკიცების შესახებ. ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია სადგურ საგურამოს მონაცემების.

² გამწმენდის მოწყობის პერიოდში გამოყენებული იქნება საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პირველი ეტაპის სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა, გარდა ტვირთამწისა.

ცხრილი 4-1. გარე ჰაერის ტემპერატურა 0 C, თვის საშუალო

პუნქტის დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის საშუალო
საგურამო	-1,0	0,5	4,8	10,1	15,4	19,0	21,9	22,0	17,6	12,1	6,1	0,9	10,8

აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო
-26	39	29,7	-10	-13	-1,1

პერიოდი <8°C საშუალო თვიური ტემპერატურით		საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
ხანგრძლივობა დღეებში	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის
151	2,2	1,6	27,7

ცხრილი 4-2. ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

პუნქტის დასახელება	თვის საშუალო, 0 C											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
საგურამო	6,6	7,8	9,7	11,3	11,2	10,8	9,0	9,5	10,1	9,7	8,0	6,7
საგურამო	თვის მაქსიმალური, 0 C											
	16,5	17,0	24,2	24,2	21,2	22,0	17,6	17,9	21,2	19,8	15,6	18,8

ცხრილი 4-3. გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %

პუნქტის დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის საშუალო
საგურამო	73	71	68	66	67	63	59	67	69	68	73	76	68

საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა	
ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
60	40	22	32

ცხრილი 4-4. გარე ჰაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა, კპა

პუნქტის დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის საშუალო
საგურამო	4,9	5,0	5,8	8,4	12,2	13,1	16,0	16,0	13,4	10,0	7,9	5,8	9,9

ცხრილი 4-5. ნალექების რაოდენობა

პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ
საგურამო	603	122

ცხრილი 4-6. თოვლის საფარი

პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
საგურამო	0,50	29	-

ცხრილი 4-7. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები

პუნქტების დასახელება	w0	w0

	5 წელიწადში ერთხელ, კპა	15 წელიწადში ერთხელ, კპა
საგურამო	0,48	0,60

ცხრილი 4-8. ქარის მახასიათებლები

პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ				
	1	5	10	15	20
საგურამო	24	28	30	32	33

ცხრილი 4-9. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

პუნქტების დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
საგურამო	23	28	30	34

4.2 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

შპს „ჰილსაიდ ისთეით“-ის დაკვეთით შპს „გეოინჟომპლექსმა“, 2022 წლის ნოემბერში, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ჩატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

- საპროექტო ტერიტორიის და ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამწმენდი ნაგებობის განთავსების საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა;
- დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

ტექნიკური დავალების თანახმად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში გათვალისწინებულია გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის და მთლიანი ტერიტორიის ფარგლებში, წინა წლებში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესახებ ცნობილი არ არის. რაიონში ჩატარებულია რიგი კვლევებისა, რომელთა მასალები დაცულია შპს „გეოინჟომპლექსის“ არქივში.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების და ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08 და პნ 01.01-09) მოთხოვნების საფუძველზე, დამკვეთთან შეთანხმებით, თვითმავალი საბურღი დანადგარით, მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, გაიბურღა 2 ჭაბურღილი, სიღრმით 6,0 მ თითოეული.

შესრულებული სამუშაოს მთლიანი მოცულობა 12,0 გრძ. მეტრია.

უბანზე გავრცელებული თიხოვანი და მსხვილნატეხოვანი გრუნტებიდან აღებულია დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 5 ნიმუში (3 ნიმუში თიხოვანი გრუნტიდან, 2 ნიმუში მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან). კვლევის სიღრმის ფარგლებში გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა შესრულდა შპს „გეოინჟომპლექსის“ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა, რომელზეც დატანილი იქნება ჭაბურღილების განლაგება და რომლის მიხედვით

შესრულდა ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიზმა და ლითოლოგიური ჭრილების აგება.

გეომორფოლოგიურად, სამომავლო მშენებლობისთვის გამოყოფილი ნაკვეთი, განთავსებულია საგურამოს ქედის ჩრდილო-დასავლეთური ექსპოზიციის ფერდის დაბოლოების ფარგლებში, წყნარი რელიეფის ჩრდილოეთური, დამრეცი (8_10⁰) დახრით. უბნის ფარგლებში რელიეფი ტექნოგენურია (მოსწორებულია)-მოჭრილი და გეგმარებულია ადრე არსებული ფუნქციონირებადი ერთსართულიანი ნახევრადდანგრეული შენობებისთვის. უბნის რელიეფის ნიშნულები 784,20-787,30 მ-ის ფარგლებშია.

ჩატარებული ბურღვითი სამუშაოების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები და უბნის ლითოლოგიური ჭრილები.

ნახაზი 4-1 ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები

ჭაბ. №1

რეაგირი №	ფენის სიღრმე		ფენის სიმკვარვე	მთის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მ-ბი	კონსტრუქცია (ტენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი	
	ღან	მღე					ზამ.	ღამშ.
				783.50	1:100			
1	0.00	1.70	1.70	781.80		მჰარი		
2	1.70	6.00	4.30	777.50		2.5 - 5.0		


ჭაბ. №2

რეაგირი №	ფენის სიღრმე		ფენის სიმკვარვე	მთის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი მ-ბი	კონსტრუქცია (ტენიანობა)	ბრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი	
	ღან	მღე					ზამ.	ღამშ.
				785.40	1:100			
1	0.00	1.40	1.40	784.00		მჰარი		
2	1.40	6.00	4.60	779.40		2.0 - 5.5		

პ ი რ ო ბ ო თ ი ა ლ ნ ო შ რ ე ბ ა

- თიხა მავისფერი, მჰარი კონსტრუქციის, კენკვის იშვიათი ჩანარებანი
- კენკარი თიხნარის 25-30%-მდე შემავსავლით
- ბრუნტის დაურეგულირებელი სტრუქტურის ნიშნის აღმოს აღნიშვნა
- ბრუნტის დაურეგულირებელი სტრუქტურის ნიშნის აღმოს იტანილობა

ნახაზი 4-2. ჭაბურღილების ჭრილები



ცხრილი 4-10. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები

შპს „გეოინჟინერინგის“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შატავას ქ. N43დ		ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები																
ობიექტის მდებარეობა: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნავზარანთკარი (ს.პ. 72.04.18.491)																		
დასახელება: გააუმჯობესო ნაგებობა																		
№№	გამონაშენის სახელი	სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	ელასტიკურობა				სიმკვრივე			ფორმირება	ფორმირების კოეფიციენტი		ფუნდამენტის მანძილი	ტენიანობის ხარისხი	სიესის მნიშვნელობა	გრუნტის დასახელება
					მოდული	პოინტონი	რეზიენი	მოდული	გრუნტის	გრუნტის	გრუნტის		საფუძის	ფუნდამენტის				
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	e_L	I_L	S_r	I_{ss}	
		მ			-	-	-	%	გ/სმ ³			%	-	-	-	-	-	
1	ჭაბ. №1	0,5	მონ.	164	0,42	0,21	0,21	16,2	1,95	1,68	2,73	38,5	0,627	1,147	-0,23	0,71	0,32	თიხა
2		1,5	მონ.	165	0,39	0,18	0,21	14,7	1,90	1,66	2,73	39,3	0,648	1,065	-0,16	0,62	0,25	თიხა
3		2,5-5,0	ღარღ. სტრ.	166	0,25	0,16	0,09	12,9							-0,34			კენჭნაროვანი ბრ. შებ. თიხნარი
4	ჭაბ. №2	1,0	მონ.	167	0,39	0,19	0,20	18,1	1,94	1,64	2,73	39,8	0,662	1,065	-0,04	0,75	0,24	თიხა
5		2,0-5,5	ღარღ. სტრ.	168	0,28	0,17	0,11	10,4							-0,60			კენჭნაროვანი ბრ. შებ. თიხნარი
					გრანულომეტრიული შემადგენლობა, %							გრუნტის დასახელება						
					ფრაქციის ზომა, მმ													
					>60	60-40	40-20	20-10	10-5	5-2	<2							
1	ჭაბ. №1	2,5-5,0	ღარღ. სტრ.	166	11,6	14,0	15,3	16,1	8,7	6,0	28,3	კენჭნაროვანი ბრუნტი შებ. თიხნარი						
2	ჭაბ. №2	2,0-5,5	ღარღ. სტრ.	168	9,9	9,6	20,0	18,7	7,3	9,1	25,4	კენჭნაროვანი ბრუნტი შებ. თიხნარი						

ინჟინერი *ე. ფიციანი* მ. ზარბაძე წამყვანი ინჟინერი ქიმიკოსი *ა. მ.* 6. სურბულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი *ა. მ.* 8. ახობაძე

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, მიწის ზედაპირიდან 1,4_1,7 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია კენჭების იშვიათი ჩანართებიანი თიხოვანი გრუნტი (ფენა 1). 1,4_1,7 მ-ის სიღრმიდან გამოკვლეულ სიღრმემდე (6,0 მ) გავრცელებულია 25_30%-მდე თიხნარის შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 2), რომლის სიმძლავრე საარქივო მონაცემებით 10 მ-დეა.

როგორც დასკვნის შესავალში აღინიშნა, ჭაბურღილებიდან აღებული იყო უბანზე გავრცელებული გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 5 ნიმუში, აქედან: 3 ნიმუში აღებული იყო ფენა 1-ის თიხოვანი გრუნტიდან, ხოლო დარღვეული სტრუქტურის 2 ნიმუში - მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან (ფენა 2) (კერნის მთლიანი გამოსავალი).

ლაბორატორიაში, თიხოვან გრუნტებზე განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების 3 სრული კომპლექსი.

ფენა 2-ის მსხვილნატეხოვან გრუნტზე ჩატარდა გრანულომეტრიული ანალიზები.

ქვემოთ, ცხრილში 4-11 მოცემულია თიხოვანი გრუნტის (ფენა 1) ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 4-11. თიხოვანი გრუნტის (ფენა 1) ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები

#	ფიზიკური მახასიათებლები		განზ.	მიღებულ მნიშვნელობათა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		Ip	_	0,20 _ 0,21
2	ტენიანობა		W	%	14,7 _ 18,1
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ ³	1,90 _ 1,95
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,64 _ 1,68
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,73
4	ფორიანობა		n	%	38,5 _ 39,8
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	_	0,627 _ 0,662
6	დენადობის მაჩვენებელი		I _L	_	-0,23 _ -0,04
7	ტენიანობის ხარისხი		S _r	_	0,62 _ 0,75

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული თიხოვანი გრუნტი (ფენა 1) მიეკუთვნება - მყარი კონსისტენციის (I_L =-0,14) თიხას (I_p=0,21), ტენიანობის ხარისხის მიხედვით გრუნტი არასრულად წყალგაჯერებულია (S_r =0,69<0,80).

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) სიდიდეები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ.

მსხვილნატეხოვან გრუნტზე (ფენა 2) განისაზღვრა გრანულომეტრიული შემადგენლობა და შემავსებლის ნომენკლატურა.

ანალიზების თანახმად, მსხვილნატეხოვანი გრუნტი, მიეკუთვნება ძირითადად მყარი კონსისტენციის თიხნარის 25,4_28,3%-მდე შემავსებლიან კენჭნაროვან გრუნტს.

რაიონში გრუნტის წყლების გავრცელება 20 მ-ის სიღრმემდე არ არის მოსალოდნელი.

4.2.1 დასკვნების და რეკომენდაციები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნაში შეიძლება აღნიშნოს:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია და გამწმენდის სამშენებლოდ გამოყოფილი უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ არის განვითარებული.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07_87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო უბანი მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი).

2. უბნის ლითოლოგიურ ჭრილში გამოიყოფა ორი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

- I სგე _ მყარი კონსისტენციის თიხა (ფენა 1);
- II სგე _ მსხვილნატეხვანი, კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 2).

3. ანგარიშებისთვის ქვემოთ, ცხრილში, შეტანილია ორივე სგე-ის გრუნტის საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიულად განსაზღვრული მახასიათებლების, საარქივო მასალების და ნორმატიული დოკუმენტების პნ 02.01_08 დანართი 2-ის ცხრ. 2, 3 დანართი 3-ის ცხრ. 1, 3-ის გამოყენებით.

#	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო(ნორმატიული) მნიშვნელობები	
		I სგე	II სგე
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ ³	1,93	1,95
2	ხვედრითი შეჭიდულობა, c კპა (კგმ/სმ ²)	68 (0,68)	5 (0,05)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	20	36
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგმ/სმ ²)	24 (240)	40 (400)
5	საანგარიშო წინაღობა, R_0 კპა(კგმ/სმ ²)	240 (2,4)	450 (4,5)
6	საგების კოეფიციენტი k კგმ/სმ ³	3,0	6,0
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,42	0,27

შენიშვნა: I სგე-ის გრუნტისთვის (ფენა 1) მახასიათებლები მოცემულია ფუძე- გრუნტის ტენიანობის (დასველების) მომატების და კონსისტენციის ერთი საფეხურით დაქვეითების პროგნოზით - ნახევრადმყარი მდგომარეობისთვის.

4. პნ 01.01_09-ის (`სეისმომედეგი მშენებლობა`) თანახმად, მცხეთის მუნიცი- პალიტეტი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას.

ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან _ II კატეგორიას.

უბნის საანგარიშო სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტის მნიშვნელობა ამავე ნორმატიული დოკუმენტის დანართი 1-ის მიხედვით ტოლია $A=0,16$.

5. ქვაბულის ან თხრილების ფერდობის მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის, 3.11 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV-2-82-ის I-I ცხრილის თანახმად, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

- ა) თიხა (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1930 კგ/მ³ (რიგ. #8ბ);
- ბ) კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 2) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – II ჯგუფს, ბულდოზერით და ხელით – III ჯგუფს, სიმკვრივით 1950 კგ/მ³ (რიგ. #6ბ);

4.3 ჰიდროლოგიური პირობები

მდინარე თეზამი (მშრალიხევი) იალნოს ქედის ჩრდილოეთ ფერდობიდან 1400 მ.ზ.დ. წყაროს სახით იღებს სათავეს და მდ. არაგვის სოფელ საგურამოსთან 514 მ.ზ.დ. სიმაღლეზე მარცხნიდან ერთვის. მდინარის სიგრძე 28 კმ-ია., საერთო ვარდნა ΔH – 886მ. აუზის საშუალო დახრილობა (ქანობი) 31.6‰. მდინარის აუზის ფართობია – 114 კმ², აუზის საშუალო სიმაღლე – 1112 მ. მდინარის აუზის მდინარის ქსელის სიხშირის კოეფიციენტი არის D-1,24 კმ/კმ². ფერდობის ჩამონადენის გარბენის საშუალო სიგრძე L – 0,80 კმ.


ჰიდროგრაფიული ქსელი სუსტადაა განვითარებული. მდინარის ყველა შენაკადი, რომელიც კონცენტრირებულია აუზის მთიან ნაწილში მშრალი ხევების სახით არიან წარმოდგენილი. მხოლოდ თოვლის დნობისა და უხვი ატმოსფერული ნალექების შედეგად ყალიბდებიან ნაკადებად. აუზის ქვემო წელში კი ფაქტობრივად მდ. თეზამს შენაკადები არ გააჩნია. ხევების უმეტესი ნაწილი ღვარცოფული ქვაწყლიანი ტიპისაა, რომლებიც აქტიურდებიან თავსხმა წვიმების შედეგად და გამოაქვთ საშუალო და წვრილმარცვლოვანი ნაშალი მასალა. ამის კარგი მაგალითია 2022 წლის 7 და 13 ივნისს საგურამოში განვითარებული ღვარცოფული პროცესები.

მდინარის აუზი განთავსებულია ქართლის ქედის სამხრეთ ნაწილში. მდინარის აუზს ჩრდილოეთ ნაწილში ესაზღვრება საბადურის ქედი (სათიბის მთა სიმაღლით – 1614 მ, საბადურის მთა – 1560 მ და ზაქარისთავი – 1437 მ), სამხრეთით კი შემოსაზღვრულია იალნოსა და საგურამოს ქედებით (სიმაღლეებით: ვიბისი – 1457 მ და საგურამოს მთა – 1393 მ).

აუზის უმეტესი ნაწილი მთიანი რელიეფითაა წარმოდგენილი. ვაკე ადგილი სოფ. არაშენდადან მთელი 6-7 კმ-ის მანძილზე ზღვის დონიდან 520-700 მ-ზე ვრცელდება და საგურამოს ველის სახელითაა ცნობილი, რომელიც მუხრანის ველის გაგრძელებაა (მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე).

თეზამის აუზის გეოლოგიურ სტრუქტურაში დომინირებს ქვიშაქვები, ფიქლები და კირქვები. ზედაპირზე გავრცელებულია თიხნარი. საგურამოს ველის ფარგლებში კი ალუვიური თიხნარ-ქვიშიანი გრუნტები გვხვდება.

რუკა 4-1. რუკა. მდ. თეზამის აუზის ტოპოგრაფიული რუკა



მდინარე თეზამის ხეობას განედური მიმართულება აქვს. ხეობა სიმეტრიულია და ყუთისებრი ფორმა გააჩნია. მდინარის შენაკადებს მერიდიანული მიმართულება აქვთ, სიმეტრიულია, V-სებრი პროფილისაა და 45-500 დახრილობის ციცაბო ფერდობებით ხასიათდებიან. ხეობათა უმეტესი ნაწილი დაფარულია ფოთლოვანი ტყით (მუხა, წიფელი, რცხილა).

მდინარეთა კალაპოტები მთიან ნაწილში შედარებით სწორხაზოვანია, ქვედა დინებაში კი ოდნავ კლაკნილი და დატოტვილი. მდინარეები ძირითადად ნადნობი თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით საზრდოობს. წყალდიდობა-წყალმოვარდნების პერიოდი მდინარისათვის დამახასიათებელია გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებისათვის. წყალმცირობის პერიოდად ზაფხული და ზამთარი მიიჩნევა.

ცხრილში 4-12 მოცემულია მოდელირების შედეგად გაანგარიშებული მდინარის აუზის ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლები.

ცხრილი 4-12. მდინარის აუზის ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლები

მდინარე	მდინარის სიგრძე (კმ)	წყალშემტვი აუზის ფართობი (კმ ²)	აუზის საშუალო სიმაღლე (მ)	მდინარის საერთო ვარდნა ΔH (მ)	საშუალო დახრილობა (‰)	ქსელის სიხშირის კოეფიციენტი D - კმ/კმ ²	გარეხის საშუალო სიგრძე L - კმ	ფერდობის ჩამონადენის ფართობის საშუალო ხარჯი (მ ³ /წმ)	ჩამონადენის მოდული M (ლ/წმ კმ ²)	ეკოლოგიური ხარჯი (მ ³ /წმ)
თეზამი	28	114	1112	886	31.6	1.24	0.80	1.08	9.5	0.10

4.3.1 მდ. თეზამის საშუალო წლიური ხარჯები

მდ. თეზამი ჰიდროლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი, რის გამოც მდინარის აუზის მორფომეტრიული პარამეტრების დასაანგარიშებლად ჩატარდა ჰიდროლოგიური მოდელირება (Arc Hydro), სადაც გამოყენებულ იქნა 20 მ-იანი რეზოლუციის ციფრული სასიმაღლო მოდელი (DEM). აგრეთვე, მდინარის საშუალო წლიური ხარჯების საანგარიშო სიდიდეები დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია ლიტერატურაში კავკასიის წყლის ბალანსი და მისი გეოგრაფიული კანონზომიერება (თბილისი, 1991 გამომცემლობა მეცნიერება, („Водный баланс Кавказа и его географические закономерности. Тбилиси: Мецниереба, 1991.).

აღნიშნული მეთოდის თანახმად საკვლევი მდინარის აუზის მდებარეობის რაიონისთვის აგებული აუზის საშუალო სიმაღლეებსა და ჩამონადენის ფენის სიმაღლეებს შორის დამოკიდებულების მრუდიდან განისაზღვრება საკვლევი მდინარის აუზის საშუალო სიმაღლის შესაბამისი ჩამონადენის ფენის სიმაღლე. ჩვენს შემთხვევაში მდ. თეზამის წყალშემტვი აუზის საშუალო სიმაღლე წყალაღების კვეთში, დადგენილი 1: 25 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, ტოლია 1112 მეტრის, ხოლო მისი შესაბამისი ჩამონადენის ფენის სიმაღლე 300 მმ-ის. მდინარე თეზამის წყლის საშუალო ხარჯი გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{Fkm^2 * hmm * 1000}{T (3156000)}$$


სადაც:

- F - წყალშემკრები აუზის ფართობია, კმ²;
- h - ჩამონადენის ფენის სიმაღლე, მმ;
- Q₀ - წყლის მრავალწლიური საშუალო ხარჯი, მ³/წმ;
- H - წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლე, მ;
- T - წელიწადში წამების რიცხვია.

საშუალო მრავალწლიური ჩამონადენის ფენის სიმაღლე განისაზღვრა წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლესა და ჩამონადენის ფენას შორის დამოკიდებულების მრუდიდან.

დამოკიდებულება ჩამონადენის ფენასა და აუზის საშუალო სიმაღლეს შორის მოცემულია გრაფიკზე 4-1 ცხრილთან ერთად.

გრაფიკი 4-1. დამოკიდებულება ჩამონადენის ფენასა და აუზის საშუალო სიმაღლეს შორის



XVII მრუდი	
h, მმ	H, მ
0	0
140	500
300	1000
560	1500
950	2000
1390	2500
1680	3000
1800	3500

4.3.2 მდ. თეზამის წყლის მინიმალური ხარჯი

მდინარე თეზამის საშუალო თვიური მინიმალური ჩამონადენის ნორმის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა ე. შველიევის ფორმულა:

$$M_0 = aF^{0.034} * M_0^{0.94} \text{ ლ/წმ კმ}^2$$

სადაც:

- M_0 – საშუალო მრავალწლიური ხარჯის ჩამონადენის მოდულია (ლ/წმ კმ²) საკვლევი მდინარეების აუზისათვის;
- F – წყალშემკრები აუზის ფართობი კმ²;
- a – პარამეტრი, რომელიც განისაზღვრება ცხრილიდან (0.282)

გამონგარიშების შედეგად M_0 - მ მნიშვნელობამ 2.75 ლ/წმ კმ² შეადგინა, საიდანაც საშუალო

თვიური მინიმალური ხარჯი $Q_0 = \frac{M_0 * F}{1000} = \frac{2.75 * 114}{1000} = 0.31 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

4.3.3 მდ. თეზამის წყლის მაქსიმალური ხარჯები

მდინარე თეზამის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისათვის საპროექტო კვეთში გამოყენებულია მეთოდი, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“. აღნიშნული მეთოდით მიღებული შედეგები აპრობირებულია და ფართოდ გამოიყენება ჰიდროლოგიური გაანგარიშების პრაქტიკაში. ამასთან გათვალისწინებულია მაქსიმალური ხარჯების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.

აღნიშნული მეთოდის თანახმად, კავკასიის პირობებში წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე და ხეობებზე, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ აღემატება 400 კმ²-ს დასავლეთ საქართველოში, ხოლო 300 კმ²-ს აღმოსავლეთ საქართველოში, იანგარიშება ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია:

$$Q = R \cdot \left[\frac{F^{2/3} \cdot K^{1.35} \cdot \tau^{0.38} \cdot \bar{i}^{0.125}}{(L + 10)^{0.44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta \quad \text{მ}^3/\text{წმ}$$

- R - რაიონული პარამეტრია და მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური ცხრილიდან და ტოლია 1.15-ის;
- F - წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში კმ²-ში;
- K - რაიონის კლიმატური კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან;
- \bar{i} - მდინარის შეწონილი ქანობია ერთეულებში სათავიდან საპროექტო კვეთამდე;
- L - მდინარის სიგრძეა სათავიდან საპროექტო კვეთამდე კმ-ში;

- Π - მდინარის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტი, მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან და ტოლია 1-ის;
- λ - აუზის ტყიანობის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით:

$$\lambda = \frac{1}{1 + 0.2 \cdot \frac{F_t}{F}}$$

სადაც:

- F_t - აუზის ტყით დაფარული ფართობია %-ში;
- δ - აუზის ფორმის კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით:

$$\delta = 0.25 \cdot \frac{B_{\max}}{B_{\text{saS}}} + 0.75$$

სადაც:

- B_{\max} - აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში;
- B_{saS} - აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება

დამოკიდებულებით
$$B_{\text{saS}} = \frac{F}{L}$$

მდ. თეზამის წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშოდ მორფომეტრიული ელემენტების მნიშვნელობები, დადგენილ იქნა 1:25 000 და 1: 50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკიდან, რის საფუძველზეც ზემოთ მოყვანილი ფორმულით გაანგარიშებულ იქნა 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები.

ცხრილში 4-13 მოცემულია მდ. თეზამის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო მორფომეტრიული ელემენტები.

ცხრილი 4-13. მდ. თეზამის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო მორფომეტრიული ელემენტები

მდინარე	წყალმომკრები აუზის ფართობი F კმ ²	მდინარის სიგრძე L კმ	კალაპოტის საშუალო გასწვრივობა დახრილობა i	R რაიონული პარამეტრი	K რაიონის კლიმატური კოეფიციენტი	Π ნიადაგის საფარველის კოეფიციენტი	λ აუზის ტყიანობის კოეფიციენტი	აუზის ფორმის კოეფიციენტი
---------	--	----------------------	---	----------------------	---------------------------------	---------------------------------------	---------------------------------------	--------------------------

თეზამ ო	114	28	0.031	1.15	6	1	0.89	0.75
------------	-----	----	-------	------	---	---	------	------

განგარიშების შედეგად მდ. თეზამის 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯმა 111 მ³/წმ შეადგინა.

4.4 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე უახლოესი დაცული ტერიტორია თბილისის ეროვნული პარკია (საპროექტო ტერიტორიიდან ეროვნული პარკი 600 მ. მანძილში მდებარეობს, ხოლო გამწმენდის განთავსების ადგილიდან - 1050 მ. მანძილში მდებარეობს). თბილისის ეროვნული პარკი პირველი ეროვნული პარკია საქართველოში. იგი 1973 წელს შეიქმნა, თუმცა, მოგვიანებით მან დაკარგა ეროვნული პარკის სტატუსი და 2007 წელს ყოფილი ეროვნული პარკის ნაწილისა და საგურამოს ნაკრძალის ბაზაზე ხელახლა შეიქმნა.

პარკი შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების დაცვის, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში რეკრეაციული, ეკოტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

თბილისის ეროვნული პარკის შექმნა ეფუძნება და შეესაბამება საქართველოში გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების სფეროში მიღებულ საერთაშორისო კონვენციებსა და საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის პრინციპებს.


ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, ეს ტერიტორია მოქცეულია სემიარიდული ეკოსისტემების, მთისა და მთისწინა კალთების კოლხური ფლორის ელემენტებით წარმოდგენილი ტყის ეკოსისტემების თანაარსებობის არეალში. აქ გავრცელებულია 688-მდე სახეობის ბალახოვანი თუ მერქნიანი მცენარე, მათ შორის 103 ხე ან ბუჩქნარია.

თბილისის ეროვნული პარკის განსაკუთრებული ლანდშაფტი უზრუნველყოფს ფაუნის მრავალფეროვნებას. აქ წარმოდგენილია ფრინველების არანაკლებ 250, ძუძუმწოვრების 24, ქვეწარმავლების 14 და ამფიბიების 5 სახეობა.

კავკასიაში არცერთი დედაქალაქის გარშემო არ არის წარმოდგენილი ასეთი ვრცელი ტყის მასივები. აქ არსებული ტყეები მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რადგან ივრის ზეგანი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე სემიარიდულ ნაწილს, იწყება თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილიდან.

თბილისის ეროვნული პარკის არსებობა ქ. თბილისსა და მცხეთის გარშემო უზრუნველყოფს საფრთხის წინაშე არსებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. აღნიშნული ტერიტორიების დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება საქართველოს მომავალი თაობების ჯანსაღ გარემოში დასვენების და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

რუკა 4-2. თბილისის ეროვნული პარკის და საპროექტო ტერიტორიების განლაგება




თბილისი ეროვნული პარკის საზღვრებს ფაქტიურად იმეორებს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი - საგურამო GE0000047. საიტის მახასიათებლები სტანდარტული ფორმის მიხედვით შემდეგია:

- სარეგისტრაციო კოდი - GE0000047;
- ფართობი - 21037.6973 ჰა;
- გრძედი - 44.925800; განედი - 41.874100;
- ბიოგეოგრაფიული რეგიონი - ალპური (100%).

ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანის ნომინირების საფუძველია 5 ტიპის ჰაბიტატი, 16 სახეობა ფრინველი, 10 სახეობა ძუძუმწოვარი, 1 სახეობა მცენარე, 2 სახეობა რეპტილია, 5 სახეობა უხერხემლო და 1 სახეობა ამფიბია.

რუკა 4-3. ზურმუხტის ქსელის საიტი „საგურამო“



5 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები

5.1 მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა

პროექტის განხორციელებით გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზემოქმედება. გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების სახეები შესაძლოა იყოს:


- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება;
- ნარჩენებით დაბინძურება;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება;

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- ბიომრავალფეროვნება;
- ადგილობრივი მოსახლეობა.

საცხოვრებელი სახლების კომპლექსის და გამწმენდის მოწყობის პერიოდში ასევე მოსალოდნელია სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება, რადგან საპროექტო ტერიტორია ემიჯნება წინამური-საგურამო-ცხვარიჭამია საავტომობილო გზას. პროექტის განხორციელებამ შესაძლოა აღნიშნულ მონაკვეთში გამოიწვიოს სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილების შეფერხება. სატრანსპორტო ნაკადების ორგანიზებისთვის, როგორც საცხოვრებლების კომპლექსის მოწყობის, ასევე ფუნქციონირების ეტაპისთვის შემუშავდება და შესაბამის ორგანოებში შეთანხმდება საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

სქემა 5-1. საპროექტო სატრანსპორტო სქემა



5.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები და ხმაურის გავრცელება

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კვლევა ხორციელდება როგორც ავტომატურ სადგურებზე, ასევე ინდიკატორული გაზომვებით.

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ავტომატური სადგურები არ არის წარმოდგენილი, უახლოესი დასახლებული პუნქტი, სადაც ინდიკატორული გაზომვები წარმოებდა ქალაქი მცხეთაა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს, 2021 წლის საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წელიწადულის მიხედვით, 2020 წელს ქ. მცხეთაში ჩატარდა 12 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ორ წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 8 და ოზონის - 4 გაზომვა.

აზოტის დიოქსიდის ინდექსი 3 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი და 5 შემთხვევაში - კარგი. ოზონის ინდექსი 2 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი და ორ შემთხვევაში - კარგი. 2020 წელს ქალაქ მცხეთაში ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით მიხედვით აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციები ყველა ლოკაციაზე ნორმის ფარგლებში იყო. გაზომვების შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 5-1. ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ მცხეთაში

მისამართი ეტაპები	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ ³				ოზონი, მკგ/მ ³			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
სვეტიცხოველთან	20.96	22.85	25.22	31.36	112.02	83.10	58.46	43.52
საჯარო სკოლა N1	27.30	28.29	32.67	34.72				

ევროკავშირის ნორმების შესაბამისად ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მნიშვნელობები და ჰაერის ხარისხის შესაბამისი ინდექსები:

მიწისპირა ოზონი

ზღვარი, მკგ/მ ³	მალიან კარგი 0-80	კარგი 80-120	საშუალო 120-180	ცუდი 180-240	მალიან ცუდი 240-600
----------------------------	----------------------	-----------------	--------------------	-----------------	------------------------

აზოტის დიოქსიდი

ზღვარი, მკგ/მ ³	მალიან კარგი 0-26	კარგი 26-40	საშუალო 40-75	ცუდი 75-200	მალიან ცუდი 200-100
----------------------------	----------------------	----------------	------------------	----------------	------------------------

ბენზოლი

ზღვარი, მკგ/მ ³	მალიან კარგი 0-2	კარგი 2-5	საშუალო 5-7	ცუდი 7-10	მალიან ცუდი 10-32
----------------------------	---------------------	--------------	----------------	--------------	----------------------

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელების მასშტაბური წყაროები წარმოდგენილი არაა. დამბინძურებელი ნივთიერებების გავრცელება ძირითადად წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამია საავტომობილო გზაზე არსებული საავტომობილო ნაკადებიდან ხდება, რომელიც, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს ხმაურის გავრცელების მთავარ წყაროდ.

პროექტის განხორციელებისას ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ძირითადად ინფრასტრუქტურის მოწყობასთან იქნება დაკავშირებული - მიწის სამუშაოები, სატვირთოების გადაადგილება, სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარების გამოყენება, ბეტონის სამუშაოების წარმოება და სხვა. თუმცა, პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება ხანგრძლივი პერიოდის. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი საშუალო მნიშვნელობის იქნება.

5.3 ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება

საცხოვრებელი სახლების კომპლექსის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობის პერიოდში ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი საწყავი არხის დაბინძურების შემთხვევაში. საპროექტო ტერიტორიიდან სხვა უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდინარე თეზამია, რომელიც ტერიტორიიდან დაშორებულია 85 მ. მანძილით. თუ გავითვალისწინებთ განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობას და კატეგორიას, სამშენებლო სამუშაოების პერიოდში მდინარე თეზამზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება უკავშირდებოდეს სამშენებლო სამუშაოების არასწორ წარმართვას და ნარჩენების არასათანადო მართვას, რა დროსაც

მოსალოდნელია სარწყავი არხის და მდინარის წყლის დაბინძურება სხვადასხვა სახის ნარჩენებით/მასალებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სარწყავი არხის გასხვისების ზოლის დაცულობასთან და სამელიორაციო სისტემის გამართული ტექნიკური ექსპლუატაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ მომზადებულია შესაბამისი წერილი ([იხილეთ დანართი 5](#)). გდგ-ს განხორციელება განხორციელდება მოთხოვნილი პირობების დაცვით, რაც სარწყავ არხში გამავალ წყალზე ზემოქმედებას მინიმუმამდე შეამცირებს.

ასევე გასათვალისწინებელია გამწმენდი ნაგებობიდან გამავალი მილის მოწყობის სამუშაოები. მილის საშუალებით გაწმენდილი წყლის ჩაშვება განხორციელდება მდინარე თეზამში. უშუალოდ მილის მოწყობის სამუშაოები მოიცავს მარტივ სამშენებლო პროცედურებს (ტრანშეს გაკეთება, მილის მოთავსება ტრანშეში და მისი გრუნტით დაფარვა), რა დროსაც მდინარე თეზამის წყლის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

კომპლექსის ფუნქციონირების ეტაპზე, გამწმენდიდან გაწმენდილი წყლის ჩაშვება განხორციელდება მდინარეში, რაც შეიძლება მდინარის წყლის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედების ერთ-ერთ ფაქტორად განიხილებოდეს. თუმცა, როგორც მე-3 პარაგრაფშია განხილული, დასამონტაჟებელი გამწმენდის ეფექტურობიდან გამომდინარე, ჩაშვებული წყლებში დამბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზღვრულად დასაშვებ ნორმებთან.

ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გაკეთებულ 4 მეტრის სიღრმის შურფებში გრუნტის წყლები არ გამოვლენილა და გრუნტის წყლების გავრცელება 20 მ-ის სიღრმემდე არ არის მოსალოდნელი. აღნიშნულის შესაბამისად, პროექტის განხორციელება გრუნტის წყლებზე უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს.

შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

5.4 ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება

საცხოვრებელი სახლების კომპლექსის და გამწმენდის მოწყობის სამუშაოების პირდაპირ გავლენას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე, რადგან განსახორციელებელი იქნება მიწის სამუშაოები. საპროექტო ტერიტორიიდან უნდა მოიხსნას ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და გრუნტი. მიწის სამუშაოები ასევე განსახორციელებელი იქნება გამწმენდიდან გამავალი მილის მოწყობის პერიოდში. პროექტის განხორციელების პერიოდში საერთო ჯამში მოსახსნელი იქნება დაახლოებით 14 000 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნაყოფიერი ნიადაგის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება განხორციელდება სათანადო პირობების დაცვით, საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილ სპეციალურ ადგილას.

დასაწყობებული ნიადაგის გამოყენება მოხდება გეგმარებით უბნის და გამწმენდი ნაგებობისთვის შერჩეული ტერიტორიის სარეკულტივაციო სამუშაოებში.

მოხსნილი გრუნტის ნაწილის გამოყენება განხორციელდება მილისთვის მოწყობილის ტრანშეის ამოვსებისთვის და გეგმარებითი უბნის ტერიტორიის მოსწორების სამუშაოებისთვის.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა მოხდება არაუმეტეს 2,5 მ-ის სიმაღლის ნაყარში, ე.წ. კავალიერებში, რომელთა ფერდების დახრილობის კუთხე იქნება არაუმეტეს 45°. დასაწყობების ტერიტორია დაცული იქნება წარეცხვისაგან წყალამრიდი არხების მოწყობით.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, გეგმარებით არეალში არსებულ ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო ხარისხის იქნება.

5.5 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

პროექტის განხორციელების ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, რადგან სამუშაოების განხორციელებისას არ არის დაგეგმილი მცენარეული საფარის მოხსნა (საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული ხე-მცენარე, რომელების შენარჩუნებული იქნება). ასევე საპროექტო ტერიტორია არ წარმოადგენს მსხვილი ძუძუმწოვრების და სხვა დაცული სტატუსის მქონე ფაუნისტური სახეობების გავრცელების ადგილს.

პროექტის განხორციელების პერიოდში მომზადდება შესაბამისი დენდროლოგიური პროექტი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის გამწვანება. ტერიტორიის გამწვანებისთვის გამოსაყენებელი მცენარეების დასახელება და რაოდენობა მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში 5-2.

ცხრილი 5-2. ტერიტორიის გამწვანებისთვის გამოსაყენებელი მცენარეების დასახელება და რაოდენობა

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა	ფორმა	სიმაღლე, მ	ლეროს გარემომოწირობა, სმ	სასიცოცხლო ფორმა	შენიშვნა
1.	კედარი ჰიმალაური Cedrus deodara	40	Bush	2.00	12-14	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე
2.	სოჭი კავკასიური Abies Nordmaniana	3	Bush	2.00	12-14	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე
3.	შავი ფიჭვი Pinus Nigra	26	Bush	2.00	12-14	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე
4.	ჩვეულებრივი ფიჭვი Pinus sylvestris	20	Bush	2.00	12-14	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე
5.	არიზონის კვიპაროსი Cupressus arizonica Fastigiata	5	Bush	2.00	12-14	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე
6.	კვიპაროსი ჰორიზონტალური Cupressus sempervirens horizontalis	34	Bush	2.00	12-14	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე
7.	კვიპაროსი სვეტისებური Cupressus sempervirens pyramidalis	5	Bush	3.00	14-16	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე
8.	ნაძვი მჩხვლეტავი Picea Pungens "Glauca"	3	Bush	3.00	14-16	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე
9.	ფოტინია რედ რობინი Photinia red robin	6	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	მარადმწვანე
10.	ნეკერჩხალი მინდვრის Acer Campeste	20	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
11.	ნეკერჩხალი ჭადარფოთოლა (ბოვი) Acer Platanoides	10	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი

12.	ცხენის წაბლი ჩვეულებრივი <i>Aesculus hippocastanum</i>	19	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
13.	აკაკი კავკასიური <i>Celtis Caucasica</i>	17	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
14.	არღავანი (იუდას ხე) <i>Cersis siliquastrum</i>	5	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
15.	იფანი ჩვეულებრივი <i>Fraxinus excelsior</i>	21	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
16.	გინგკო ბილობა <i>Ginkgo biloba</i>	3	Standard	3.00	14-16	წიწვოვანი	მარადმწვანე
17.	კაკალი ჩვეულებრივი <i>Iuglans Regia</i>	10	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
18.	საპნის ხე (კელრეუტერია) <i>Koelreuteria Paniculata</i>	12	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
19.	ოქრო წვიმა <i>Laburnum anagyroides</i>	8	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
20.	ირმის რქა <i>Lagerstroemia indica</i>	7	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
21.	ლიქვიდამბარი <i>Liquidambar styraciflua</i>	8	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
22.	თეთრი ვერხვი <i>Populus Alba</i>	3	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
23.	ნუში ჩვეულებრივი <i>Prunus Amygdalis</i>	10	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
24.	წითელი ტყემალი <i>Prunus cerassifera nigra</i>	5	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
25.	ქვამუხა (მარადმწვანე მუხა) <i>Quercus Ilex</i>	14	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	მარადმწვანე
26.	ევროპული მუხა <i>Quercus Robur</i>	10	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი

27.	ცაცხვი წვრილფოთოლა Tilia Cordata	25	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
28.	ნეკერჩხალი ფლამინგო Acer negundo "flamingo"	2	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
29.	ნეკერჩხალი „პრინცეტონ გოლდი“ Acer plat. "Princeton Gold"	2	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
30.	ნეკერჩხალი „რედ სანსეტი“ Acer rubrum "Red sunset"	2	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
31.	ნეკერჩხალი ფრემანის Acer freemanii	2	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
32.	ტირიფი ბაბილონის მტირალა Salix babilonica	8	Standard	3.00	14-16	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
33.	ტუია აღმოსავლური Thuya orientalis	2000	Bush	0.60-0.80		წიწვოვანი ბუჩქი	მარადმწვანე
34.	კვილო იაპონური Ligustrum Japonicum	1500	Bush			ფოთლოვანი ბუჩქი	მარადმწვანე
35.	გაზონი ჩვეულებრივი Lawn	8000 .					

უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე არაა გავრცელებული დაცული სტატუსის ფაუნის სახეობები, ხოლო მისი სამშენებლოდ გამოყენება არ დარღვევს არსებული ჰაბიტატის მთლიანობას. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საავტომობილო გზის და დასახლებულ პუნქტებს შორის (ნავდარაანთკარი და კოტორაანთკარი), რაც არახელსაყრელ გარემოს ქმნის ფაუნის სახეობების საბინადროდ. ფაუნის სხვადასხვა სახეობები ტერიტორიაზე შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას მოხვდნენ.

პროექტის განხორციელებამ შესაძლოა მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული სახეობების დროებითი შემფოთება გამოიწვიოს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ცხოველები შეგუებულები არიან წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამია საავტომობილო გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების ხმაურს, პროექტი არ ითვალისწინებს მუდმივ და მასშტაბურ სამუშაოებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები დაბალი მნიშვნელობის იქნება.

5.6 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება

პროექტის განხორციელებისას ადგილი ექნება სხვადასხვა კატეგორიისა და სხვადასხვა რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. ინფორმაცია კონკრეტული გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მოცემულია ცხრილში 5-3.

ცხრილი 5-3. ინფორმაცია კონკრეტული გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ³.

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათობის მახასიათებელი
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ხე-ტყის დამუშავებისას, ქაღალდის, მუყაოს, სამერქნე მასალის, პანელებისა და ავეჯის წარმოებისას - ჯგუფის კოდი 03				
03 01 ნარჩენები ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან და პანელებისა და ავეჯის წარმოებიდან				
03 01 05	ნახერხი, ბურბუშელა, ნათალი, ხე-ტყის მასალა, ფანერები და შპონები, რომლებიც არ არის ნახსენები 03 01 04	არა	მყარი	-
შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი 15				
15 01 შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)				

³ შედგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №426 დადგენილების მიხედვით

15 01 01	ქალაქისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-
15 01 06	ნარევი შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-
15 02 აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი				
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	მყარი	H 5 - მავნე H14- ეკოტოქსიკური
16 02 წუნდებული/მწვობრიდან გამოსული ხელსაწყოები და მისი ნაწილები				
16 02 14	მწვობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 13-მდე პუნქტებში	არა	მყარი	-
სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან) - ჯგუფის კოდი 17				
17 04 მეტალები (მოიცავს მათ შენადნობებსაც)				
17 04 07	შერეული ლითონები	არა	მყარი	-
17 05 ნიადაგი (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან), ქვები და გრუნტი				
17 05 04	ნიადაგი და ქვები, რომლებიც არ გვხვდება 17 05 03 პუნქტში	არა	მყარი	-
17 05 06	გრუნტი, რომელიც არ გვხვდება 17 05 05 პუნქტში	არა	მყარი	-
17 06 საიზოლაციო მასალები და აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები				
17 06 04	საიზოლაციო მასალები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 06 01 და 17 06 03	არა	მყარი	-
მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას - ჯგუფის კოდი 20				
20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)				
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-
20 03 06	ნარჩენები კანალიზაციის გაწმენდისაგან	არა	მყარი	-

შენიშვნა: ცხრილში მოცემული ნარჩენების სახეობები შესაძლოა შეიცვალოს უშუალოდ საქმიანობის განხორციელებისას.

ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენის სათანადო მართვას საჭიროებს, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გარემოს დაბინძურება. ნარჩენების არასწორმა მართვამ შეიძლება დააბინძუროს გარემოს სხვადასხვა კომპონენტები.

ნარჩენების მართვის კოდექსის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან უზრუნველყონ, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია და მის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“. გამწმენდის მოწყობის პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების შესამლბელია შემდეგი მართისთვის ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“ გადაეცეს, ან ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის 21-ე მუხლის 51 პუნქტის თანახმად ინერტული ნარჩენები, რომლებიც გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, შესამლბელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე, თუ ისინი, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებით, ამოვსებითი ოპერაციებისთვის ან პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. აღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამწმენდის და გეგმარებითი უბნის მოწყობის პერიოდში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების მართის თვალსაზრისით.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის კონტეინერები, რომელსაც მოემსახურება შესაბამისი კონტრაქტორი პირი/კომპანია.

დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება სპეციალურ, სამშენებლო ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებში.

ინდივიდუალური საცხოვრებლების და კომერციული ობიექტების მოწყობა ეტაპობრივად განხორციელდება, რა დროსაც წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების მართვა შესამლოა განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდებით, რაც დამოკიდებული იქნება ობიექტის მფლობელის გადაწყვეტილებაზე. წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პროცესების კონტროლი უნდა განხორციელდეს შესაბამისი ორგანოების მიერ.

ნარჩენების სათანადო მართვის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

5.7 ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ტექნიკა-დანადგარების არასწორმა მართვამ, მძიმე სამუშაოებმა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესამლობელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა. პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესამლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.

სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ სამუშაო ზონებში უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. პერსონალის უსაფრთხოება რეგლამენტირებული უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტებით, სამშენებლო ნორმებით და წესებით. სამუშაოების წარმოებისას მშენებელი კომპანიის მიერ დანიშნული/მოწვეული უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა/გათვალისწინების შემთხვევაში, ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

5.8 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

საპროექტო ინფრასტრუქტურა განთავსდება ამჟამად აუთვისებელ ტერიტორიაზე, რაც თავისთავად ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებებს შეიტანს საპროექტო ტერიტორიაზე.

ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებების პოტენციური რეცეპტორები იქნებიან საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა და ცხოველთა სამყარო. პროექტის განხორციელების შემდეგ ტერიტორიაზე გაჩნდება მუდმივი ინფრასტრუქტურა, რომელიც შეცვლის არსებულ ვიზუალურ გარემოს და ნაწილობრივ ლანდშაფტს.

ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილების შერბილების მიზნით, საცხოვრებელი სახლების ვიზუალური მხარე მაქსიმალურად იქნება მორგებული არსებულ ლანდშაფტურ გარემოს, ხოლო ტერიტორიის გამწვანება განხორციელდება შესაბამისი დენდროლოგიური პროექტის მიხედვით, რაც დადებით ზეგავლენას იქონიებს მოსალოდნელ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებებზე.

5.9 კუმულაციური ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ტერიტორია, რომლისთვისაც შემუშავებული და შეთანხმებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმა. იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო და შეთანხმებული განაშენიანების დეტალური გეგმები პარალელურად განხორციელდება, ადგილი ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას. განაშენიანების დეტალური გეგმები თავისი სპეციფიკით თითქმის იდენტურია (ორივე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მოწყობას ითვალისწინებს) და კუმულაციური ზემოქმედება გამოხატული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების და ხმაურის გავრცელებით, ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედებით, ჩამდინარე წყლების წარმოქმნით, ნარჩენების არასათანადო მართვით.

ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებებით და ხმაურის გავრცელებით კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკა-დანადგარების მუშაობასთან. მისასვლელი გზების, სკვერების, კომერციული ობიექტების და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა მტვრის ნაწილაკები, ტექნიკიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, ასევე მოიმატებს ხმაურის დონე. ეს ყველაფერი გავლენას იქონიებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონური მდგომარეობაზე, თუმცა მას არ ექნება მუდმივი ხასიათი და დამოკიდებული იქნება სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობასთან. ამასთან, კუმულაციური ზემოქმედებას

ადგილი ექნება იმ შემთხვევაში თუ დამტკიცებული და საპროექტო გდგ-ს განხორციელება პარალელურ რეჟიმში წარიმართება.

კუმულაციური ზემოქმედების განხილვისას მხედველობაში ასევე უნდა იქნეს მიღებული ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედების საკითხები. საპროექტო და დამტკიცებული გდგ-ს ტერიტორიები ორივე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენაა წარმოდგენილი. გდგ-ში განხორციელება გამოიწვევს გარდაუვალ ზემოქმედებას ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, სადაც ინფრასტრუქტურის მოწყობაა დაგეგმილი. წინასწარი შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე დაახლოებით 14 000 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა იქნება პირდაპირ ზემოქმედებას დაქვემდებარებული. საპროექტო და დამტკიცებული გდგ-ების განხორციელება გულისხმობს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შედარებით მეტ ფართობს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კარგვას. ტერიტორიებიდან მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არამიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე. კუმულაციური უარყოფითი ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია მისი ნარჩენებით დაბინძურებით და არასწორად წარმართული სამუშაოებით. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საპროექტო ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დროებით დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიაზე და შემდეგ გამოყენებული იქნება პროექტის განხორციელებისას-ტერიტორიების რეკულტივაციისთვის.

როგორც 5.6 პარაგრაფშია წარმოდგენილი გდგ-ს განხორციელება დაკავშირებული იქნება სხვადასხვა ტიპისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნასთან. მსგავსი ტიპის ნარჩენების წარმოქმნაა მოსალოდნელი ასევე დამტკიცებული გდგ-ს განხორციელებისას. ორივე გდგ-ს პარალელურად განხორციელების შემთხვევაში ჯამურად მეტი ნარჩენი წარმოიქმნება, რაც ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედების რისკებსაც ზრდის. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა საპროექტო და დამტკიცებული გდგ-ები პარალელურად არ განხორციელდეს, ხოლო ინდივიდუალური საცხოვრებლების მოწყობის ხანგრძლივობა მფლობელებზე იქნება დამოკიდებული.

როგორც მშენებლობის, ასევე ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სარწყავი არხი საპროექტო ტერიტორიას კვეთს, ხოლო ახლოს გაედინება დამტკიცებულ გდგ-ს ტერიტორიასთან, არსებობს ზედაპირული წყალზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები. განსაკუთრებით საყურადღებო ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპია, რადგან ამ პერიოდში ადგილი ექნება სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას, რომელთა არასათანადო მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია არხში გამავალი წყლის დაბინძურება. სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობის შემდეგ წყლის გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები უმნიშვნელო იქნება, რადგან წარმოქმნილი საკანალიზაციო და სანიაღვრე წყლების მართვა განხორციელდება შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურით.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საპროექტო გდგ-ს განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება, თუმცა ამ ზემოქმედებების განხილვა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო და მომიჯნავედ დამტკიცებული გდგ პარალელურად განხორციელდება. გამონაკლისია

ნიადაგზე კუმულაციური ზემოქმედება, რომელზეც ზემოქმედების მასშტაბი დამიკიდებული არაა გდგ-ების განხორციელების თანმიმდევრობაზე.

6 დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

წინამდებარე თავში, წარმოდგენილია გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება, რომელიც შესრულებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (იხილეთ ცხრილი 6-1).

ცხრილი 6-1. გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

საქმიანობის მახასიათებლები	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		მოკლე რეზიუმე
	დიახ	არა	
საქმიანობის მასშტაბი			
1.1	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება	+	საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ტერიტორია, რომლისთვისაც შემუშავებული და შეთანხმებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმა. იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო და შეთანხმებული განაშენიანების დეტალური გეგმები პარალელურად განხორციელდება, ადგილი ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას.
1.2	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება	+	<p>პროექტის განხორციელებისას, მშენებლობის ეტაპზე, მოსალოდნელია მცირე რაოდენობით წყლის რესურსების გამოყენება. ხოლო კომპლექსის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალმომარაგებისთვის გამოყენებული იქნება ტერიტორიაზე უკვე არსებული და სამომავლოდ გათვალისწინებული ჭაბურღილები. არსებული ჭაბურღილიდან წყლის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია შესაბამისი ბრძანება და ლიცენზია (იხილეთ დანართი 9).</p> <p>პროექტის განხორციელებისას ასევე ადგილი ექნება პირდაპირი ზემოქმედებას ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, რომელიც პროექტის განხორციელებისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს საპროექტო ტერიტორიაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს,</p>

				რომ საპროექტო ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგი ადგილზე გამოიყენება და ის არ იქნება შემოტანილი სხვა ტერიტორიიდან.
1.3	ნარჩენების წარმოქმნა	+		პროექტის განხორციელებისას ადგილი ექნება სხვადასხვა კატეგორიისა და სხვადასხვა რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების წარმოქმნა.
1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური	+		გარემოს დაბინძურება მოსალოდნელი იქნება დაგეგმილი სამუშაოების არასწორ წარმართვასთან, ნარჩენების არასათანადო მართვასა და დაუდევრობასთან. თუმცა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების პირობების დაცვის შემთხვევაში გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული რისკები მაღალი არ იქნება. პროექტის განხორციელებისას გარემოს ხმაურით დაბინძურება მოსალოდნელია ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის მუშაობისას.
1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		+	პროექტის განხორციელებით მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არაა.
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა				
2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		+	საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ჭარბტენიანი ტერიტორიები წარმოდგენილი არაა
2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		+	-
2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		+	-
2.4	დაცულ ტერიტორიებთან		+	საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია თბილისის ეროვნული პარკი 600 მ. მანძილშია განთავსებული
2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		+	საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფელი კოტორაანთკარია რომელიც

				გამწმენდისთვის შერჩეული ტერიტორიიდან 55 მ. მანძილში მდებარეობს.
2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		+	საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის, ხოლო არქეოლოგიური ძეგლების გვიანი აღმოჩენის რისკები მინიმალურია.
საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი				
3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		+	დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.
3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		+	შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინების პირობებში, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება გარემოზე განსაკუთრებით მაღალი, შეუქცევადი ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებული არ იქნება. გარემოს კომპონენტებიდან ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მდინარე თეზამი წარმოადგენს პირდაპირ ზემოქმედებას დაქვემდებარებულ რეცეპტორებს. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რომლის მართვა განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო მდინარე თეზამში ჩაშვებული წყლის ხარისხის შესაბამისობაში იქნება საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან.

7 გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

პროექტი თავისი მასშტაბიდან გამომდინარე გარემოზე მკვეთრ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს. თუმცა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისას აუცილებელი იქნება გატარდეს მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები შეიძლება დაყვით ორ ჯგუფად - 1) ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები და 2) გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები.

ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად უნდა გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები

- სამუშაოებში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;

- დაცული უნდა იყოს სამუშაო გრაფიკი;
- პერიოდულად გაკონტროლდეს ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;
- სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის მიერ უნდა დაინიშნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ცნობიერების ამაღლებისა სწავლებები გარემოსდაცვით, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისდაცვის საკითხებზე;
- სამუშაო ზონებში გაკეთდეს მაფრთხილებელი ნიშნები.

გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები

- სამუშაოებში გამოყენებული ტრანსპორტი და ტექნიკა-დანადგარები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ნორმებს, რისთვისაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა;
- სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას დაცული უნდა იყოს ოპტიმალური სიჩქარე;
- მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, რეკომენდებულია საპროექტო ტერიტორიასთან არსებული მისასვლელი გრუნტის გზა მოირწყოს საჭიროებისამებრ;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო გრაფიკი;
- მნიშვნელოვანი მაღალი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში;
- ქარიან ამინდში უნდა შეიზღუდოს მტვერწარმომქმნელი და მიწის სამუშაოების შესრულება (მიწის სამუშაოები, შიდა საუბნო გზების მოწყობის პერიოდში მიწის ვაკისის მოწყობისას), ასევე დღის განმავლობაში მინიმუმ 2-ჯერ განხორციელდეს გეგმარებით ობიექტამდე მისასვლელი გრუნტის გზის მორწყვის სამუშაოები;
- სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დამუშავების სველი მეთოდი;
- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა უნდა გადაიფაროს შესაბამისი მასალით;
- უმჯობესია სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება უახლოესი კარიერებიდან/ობიექტებიდან განხორციელდეს;
- გაკონტროლდეს ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

ზედაპირულ წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- ტერიტორიაზე გამავალი სარწყავი არხის წყალზე მოსალოდნელი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით მკაცრად უნდა იყოს დაცული შპს „საქართველოს მელიორაციის“ [წერილით](#) გათვალისწინებული მოთხოვნები;
- რეგულარულად უნდა შემოწმდეს ადგილზე მომუშავე ტრანსპორტის და აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობა ჟონვის დასადგენად;
- მკაცრად გაკონტროლდეს ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეცხი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული

წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში. დაგეგმილი სამუშაოები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა წარიმართოს საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი არხის სიახლოვეს. რეკომენდებულია არხის გასწვრივ გაკეთდეს შესაბამისი ბარიერები და მაფრთხილებელი ნიშნები;

- შეიზღუდოს ადგილზე ტექნიკის რემონტი/ტექნიკური მომსახურება და გამართვა. უპირატესობა მიენიჭოს საპროექტო არეალის გარეთ მდებარე კერძო/კომერციულ ტექნომსახურების ობიექტების გამოყენებას;
- სამშენებლო ზონა აღჭურვილი უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით. ასევე დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მაქსიმალურად შეიზღუდოს საპროექტო ტერიტორიაზე საწვავ-საპოხი მასალების დასაწყობება, აუცილებლობის შემთხვევაში მსგავსი მასალები უნდა განთავსდეს მდინარისგან მაქსიმალურად შესაძლებელ მანძილზე. დასაწყობების ტერიტორია კი აღჭურვილი უნდა იყოს დაღვრაზე რეაგირების სისტემებითა და ინვენტარით;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს იმ სატვირთოების (ბეტონშემრევი) ადგილზე გარეცხვის ფაქტები, რომლებიც გამოყენებული იქნება გამწმენდი დანადგარისათვის ფუნდამენტის და რეზერვუარის მოწყობა სამუშაოებში;
- ტერიტორიაზე შემოტანილი მასალა და ნარჩენები დასაწყობდება ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეროზია და წარეცხვა;

ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის მართვა უნდა განხორციელდეს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში გატარდეს დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაზინძურებული ფენა უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
- შეიზღუდოს სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება და/ან საწვავით გამართვა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს გეგმარებითი ობიექტის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებს;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო ზონა და სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა მოქმედებდეს აღნიშნულ ზონაში;
- პერიოდულად შემოწმდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;
- მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი ნორმებისა და წესების მიხედვით. მუდმივად უნდა გაკონტროლდეს ნაყოფიერი ნიადაგის არამიზნობრივი გამოყენების ფაქტები;

ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- მკაცრად იყოს დაცული საპროექტო საზღვრები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახეობების ბინადრობისთვის/ბუდობისთვის აუცილებელი ჰაბიტატების მთლიანობა;
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- გაკონტროლდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილებისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტები;
- მკაცრად გაკონტროლდეს ბრაკონიერობის ფაქტები;
- გაკონტროლდეს ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;

ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.
- გეგმარებით არეალში სამუშაოების წარმოებისას უნდა განთავსდეს შესაბამისი რაოდენობისა და ზომის კონტეინერები, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენებისთვის. სახიფათო ნარჩენების კონტეინერები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ დაცული იყოს ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან;
- სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერები, სადაც მხოლოდ სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება;
- ნარჩენების კონტეინერების დაცლა უნდა მოხდეს შევსების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს არიდებული ნარჩენების გარემოში გაფანტვა;
- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმზაციას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი კომპანია უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შექმნას, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;
- მასალების შემოტანასა და განთავსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდეს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის უნდა გადაეცეს ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. არასახიფათო ნარჩენები შესაძლოა გადაეცეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ დასუფთავების სამსახურს, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.
- დასაქმებულ უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგები ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

ვიზუალურ ლანდშაფტური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- პროექტის განხორციელებისას მკაცრად უნდა გაკონტროლდეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროცესები და მისი შესაბამისობა არქიტექტურულ ნაწილთან;
- ტერიტორიის გამწვანება უნდა განხორციელდეს დამტკიცებული დენდროლოგიური პროექტის მიხედვით.

8 დასკვნა


დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- საცხოვრებელი კომპლექსის და გამწმენდის მოწყობის სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, არაა მოსალოდნელი მუდმივი და მასშტაბური სამუშაოების წარმოება;
- პროექტის განხორციელების პერიოდში პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია ნიადაგის ნაყოფიერ ფენასა და გრუნტზე. მოხსნილი ნიადაგის და გრუნტის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მკაცრად იქნება დაცული შპს „საქართველოს მელიორაციის“ მოთხოვნები სარწყავი არხის გასხვისების ზოლის დაცულობასა და სამელიორაციო სისტემის გამართული ტექნიკური ექსპლუატაციასთან დაკავშირებით;
- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე 4 მ. სიღრმეზე გაბურღულ ჭაბურღილში გრუნტის წყლები არ გამოვლინდა და არც უფრო მაღალ სიღრმეზეა (20 მეტრამდე) მოსალოდნელი. აღნიშნული ფაქტორის გამო, გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა;
